სამაგისტრო პროგრამა: ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: მეცნიერების მაგისტრი ეკონომეტრიკასა და მათემატიკურ ეკონომიკაში (MSc in Econometrics and Mathematical Economics)

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი იური ანანიაშვილი

სამაგისტროპროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

- **<u>მიზანი;</u>**

პროგრამა განკუთვნილია მაღალკვალიფიციური ფართო პროფილის სპეციალისტების მომზადებისათვის, რომლებიც ფლობენ სიღრმისეულ ცოდნას ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის სფეროში და უნარი შესწევთ თანამედროვე რაოდენობრივი ანალიზის მეთოდებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით განახორციელონ გამოყენებითი და თეორიული კვლევა კონკრეტულ სიტუაციებში ეკონომიკური ანალიზისათვის, პროგნოზირებისათვის, გადაწყვეტილების მიღებისათვის. ასეთი სპეციალისტების მომზადების საჭიროება განპირობებულია არა კონიუნქტურით, რომელიც ცვალებადია, არამედ ობიექტური აუცილებლობით, ვინაიდან მაღალი პროფესიონალიზმის სპეციალისტ-ანალიტიკოსებს, რომლებიც ფლობენ ეკონომიკურ თეორიას და სისტემური ანალიზის ზუსტ მეთოდებთან შეხამებულად თანამედროვე ინსტრუმენტულ და პროგრამულ საშუალებებს, შეუძლიათ ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, როგორც პრობლემის დაყენება, ისე გადაწყვეტა და შესრულების ორგანიზაცია.

- **<u>შედეგი</u>**

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული მიიღებს მაღალხარისხოვან საუნივერსიტეტო მომზადებას როგორც ზოგადთეორიულ, ისე გამოყენებით ეკონომიკურ და ეკონომიკურ-მათემატიკურ დისციპლინებში. კერძოდ, მაკროეკონომიკის, მიკროეკონომიკის, ეკონომეტრიკის სისტემური ანალიზის, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდების და ა. შ. კურსების საფუძვლიანი ათვისების შემდეგ სტუდენტი დაეუფლება ცოდნასა და ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია ეკონომიკური და მენეჯერული საქმიანობის სხვადასხვა ასპექტში თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გააზრებისა და გადაწყვეტისათვის. მოცემული პროგრამით მომზადებულ მაგისტრს შეეძლება ეკონომიკური პროცესების თვისობრივი ანალიზი, მათში არსებული რაოდენობრივი კანონზომიერებების დადგენა, შეფასება და რაციონალური

(ოპტიმალური) გადაწყეტილებების გამომუშავება როგორც ცნობილ, ისე ახალ და უცნობ გარემოში. გარდა ამისა, მაგისტრს შეეძლება სამეცნიერო ეკონომიკური ლიტერატურისა და ეკონომიკური ინფორმაციის ანალიზი და საკუთარი დასკვნებისა და მოსაზრებების წერილობითი და ზეპირი წარმოდგენა.

● <u>დასაქმების სფეროები</u>:

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფართო პროფილის სპეციალისტია, რომელსაც შეუძლია იმუშაოს ყველა იმ კერძო და სახელმწიფო სტრუქტურაში, სადაც მოითხოვება ანალიტიკური აზროვნება და ეკონომიკის, მათემატიკის, სტატისტიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების შეხამებული ცოდნა ეკონომიკურ და მენეჯერულ საქმიანობასთან დაკავშირებული მოვლენებისა და პროცესების შეფასებისათვის (ანალიზისათვის), პროგნოზირებისათვის და გადაწყვეტილებების შემუშავებისათვის. ასეთი შეიძლება იყოს:

– ფირმების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საინვესტიციო ფონდების და სხვა კერძო ეკონომიკური სტრუქტურების ანალიზის, განვითარების, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და მარკეტინგის განყოფილებები;

– სახელმწიფო, რეგიონული და მუნიციპალური მართვის ორგანოები;

– ეკონომიკური ხასიათის სამეცნიერო-კლევითი და სასწავლო დაწესებულებები.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები: სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხორციელდება მხოლოდ დასწრებული სწავლების ფორმაზე თსუ–ში მაგისტრატურაში მიღების წესების შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა გააჩნდეს ეკონომიკის, მათემატიკის ან ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი. ამასთან, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ მსურველს, რომელმაც ბაკალავრის ხარისხი მიიღო ეკონომიკური კიბერნეტიკის, ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების, მათემატიკური ეკონომიკის სპეციალობების (ან სპეციალიზაციების) დამთავრების შემდეგ. სხვა დანარჩენ შემთხვევაში პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთაგან მიზანშეწონილია, რომ ეკონომიკის და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრებს მაღალი შეფასებებით გავლილი ჰქონდეთ უმღლესი მათემატიკის, ალბათობის თეორიის და ეკონომიკურ-მათემატიკური ხასიათის რომელიმე კურსი, ხოლო მათემატიკის ბაკალავრს - ეკონომიკსის (ეკონომიკის პრინციპების) კურსი.

პროგრამაზე ჩაბარების უფლება აქვთ როგორც მიმდინარე წლის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს, ისე სამუშაო გამოცდილების მქონე პირებს (წინა წლებში დამთავრებულებს). პროგრამაზე ჩაბარებისას მიზანშეწონილია მსურველმა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი ცნობა სამეცნიერო კონფერეციებში მონაწილეობის, გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების ან, კიდევ, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირების გავლის შესახებ. ეს ფაქტორები მხედველობაში მიიღება მხოლოდ სხვა თანაბარ პირობებში - მსურველების საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სექტორებზე ჩარიცხვისას.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა ერთ-ერთი უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) B1 დონეზე.

- <u>**მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების საკითხები:**</u>

1. ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.
2. ეკონომისტი, როგორც მეცნიერი და ეკონომისტი, როგორც პოლიტიკოსი.
3. საბაზრო წონასწორობის ცვლილებების ანალიზის საფეხურები და მისი როლი ბაზრის სუბიექტთა მიერ გადაწყვეტილებების მიღებაში.
4. ფასის ზედა ზღვრის ზემოქმედება ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე (ბინის ქირის კონტროლი მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში).
5. ფასის ქვედა ზღვრის ზემოქმედება ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე (მინიმალური ხელფასის კანონი).
6. ფასების კონტროლის პოლიტიკა და მისი შეფასება.
7. მყიდველთა დაბეგვრის პოლიტიკის ზემოქმედება ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე.
8. გამყიდველთა დაბეგვრის პოლიტიკის ზემოქმედება ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე.
9. მთავრობის დამოკიდებულება გადასახადის სიმძიმის განაწილებასთან.
10. ბაზრის ეფექტიანობა და მისი წონასწორობის შეფასება.
11. კეთილდღეობის ცვლილება: კეთილდღეობა გადასახადის გარეშე და გადასახადის დაწესების შემდეგ.
12. საერთო დანაკარგი, მისი დეტერმინანტები და შემცირების სამთავრობო პოლიტიკა.
13. ლაფერის მრუდი და «მიწოდების» ეკონომიკური პოლიტიკა.
14. ექსპორტიორი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა.
15. იმპორტიორი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა.
16. ტარიფებისა და საიმპორტო ქვოტის შედეგების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე.
17. კერძო გადაწყვეტილებების საფუძველზე გარე ეფექტების დაძლევა. ქოუზის თეორემა.
18. გარე ეფექტებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა.
19. საზოგადოებრივი საქონლის შედეგად წარმოშობილი პრობლემა და მისი გადაჭრა მთავრობის მიერ.
20. საერთო რესურსების გამოყენების პრობლემა და მისი დაძლევის სამთავრობო პოლიტიკა.
21. საგადასახადო სისტემის ეფექტიანობა და მისი ზრდის სამთავრობო პოლიტიკა.
22. საგადასახადო სისტემის სამართლიანობა და მასთან დაკავშირებული სამთავრობო პოლიტიკა.

23. დანახარჯები და მათი შესაბამისი გადაწყვეტილებანი მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში.
24. კონკურენტული ფირმის პოლიტიკა და ქცევა მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში.
25. კონკურენტული ფირმების გადაწყვეტილება საბაზრო მიწოდების შესახებ მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში.
26. მონოპოლიების მიერ გადაწყვეტილებების მიღება წარმოების მოცულობისა და ფასების დონის შესახებ.
27. მონოპოლია და კეთილდღეობის დანახარჯების გავლენა სახელმწიფოს ქცევაზე.
28. სახელმწიფო პოლიტიკა მონოპოლიებთან მიმართებაში.
29. ოლიგოპოლიური პოლიტიკის და ქცევის წინააღმდეგობრივი ბუნება.
30. სახელმწიფო პოლიტიკა ოლიგოპოლიებთან მიმართებაში.
31. მონოპოლისტური კონკურენციის ფირმების პოლიტიკა და ქცევა მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში.
32. შრომის ბაზრის წონასწორობა და მისი გავლენა ბაზრის სუბიექტთა მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე.
33. დისკრიმინაციის პოლიტიკა შრომის ბაზარზე.
34. დისკრიმინაციის პოლიტიკა დამქირავებლების, მომხმარებლების და მთავრობის მხრიდან.
35. შემოსავლების გადანაწილების პოლიტიკა: უტილიტარიზმი, ლიბერალიზმი, ლიბერთარიანიზმი.
36. მომხმარებლის არჩევანის თეორიის გამოყენება საოჯახო მეურნეობების პოლიტიკისა და ქცევის დეტერმინანტების შესასწავლად.

37. ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი სახელმწიფო პოლიტიკა.

38. დანაზოგებსა და ინვესტიციებზე სხვადასხვა სამთავრობო პოლიტიკის ზემოქმედება

39. უმუშევრობის შედეგებზე სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა

40. მთავრობის მიერ უმუშევრობის მასშტაბების განსაზღვრის პოლიტიკა, მისი პრობლემები და უმუშევრობის ხანგრძლივობა

41. სახელმწიფო პოლიტიკა და სამუშაოს ძიება, უმუშევრობის დაზღვევა

42. ფულის მიწოდება, ფულზე მოთხოვნა და მონეტარული პოლიტიკა მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში

43. მონეტარული პოლიტიკის ცვლილებების შედეგები

44. ინფლაციის დანახარჯები და სამთავრობო პოლიტიკა მასთან მიმართებაში

45. ანტიინფლაციური პოლიტიკის დანახარჯები

46. ფულის მიწოდების კონტროლის დროს წარმოქმნილი პრობლემების გავლენა მონეტარულ პოლიტიკაზე
47. საქონლისა და კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა
48. ფასები საერთაშორისო გარიგებებში: ნომინალური და რეალური სავალუტო კურსები და მასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა
49. სასესხო კაპიტალისა და უცხოური ვალუტის მიწოდებისა და მოთხოვნის გავლენა სახელმწიფოს ქცევაზე
50. წონასწორობა ღია ეკონომიკაში და სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღება
51. სამთავრობო პოლიტიკის ზემოქმედება ღია ეკონომიკაზე

52. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილების შედეგების გავლენა სახელმწიფოს ქცევაზე
53. ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილების შედეგების ზემოქმედება სახელმწიფოს ქცევაზე
54. მონეტარული პოლიტიკის ზემოქმედება ერთობლივ მოთხოვნაზე
55. სარგებლის განაკვეთი და ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკა
56. ფისკალური პოლიტიკის ზემოქმედება ერთობლივ მოთხოვნაზე
57. ფისკალური პოლიტიკის ზემოქმედება ერთობლივ მიწოდებაზე
58. ეკონომიკური პოლიტიკა გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდებში
59. ფილიპსის მრუდის გადაადგილებანი: ინფლაციური მოლოდინის ცვლილებათა როლი და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა
60. ფილიპსის მრუდის გადაადგილებანი: ერთობლივი მიწოდების შოკური ცვლლუბების როლ დ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლტიკა

ლიტერატურა:

1. Walter A. S. Koch, Christian Czogalla, Grundlagen der Wirtschaftspolitik, 2, auflage, Stuttgart, 2004
2. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თარგმანი ინგლისურიდან, თბ., 2000.
3. პ. ა. სამუელსონი, ვ. დ. ნორდჰაუსი, ეკონომიკა (ოთხ ტომად), თარგმანი რუსულიდან,. თბ., 2000.